„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„19" ივლისი " 2013 წელი

ეგზ. N2

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ანგარიში 01/29/00

სარჩევი

შესავალი-------------------------------------------------------------------------------------------3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები -------------------------------------------------------------------- 3
ძირითადი ტექსტი ----------------------------------------------------------------------------------------4
**1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა**
1.1. საბიუჯეტო განაცხადების წარდგენისა და წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის მდგომარეობა--------------4
1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების, პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების მიხედვით ---6
1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა--------------------------9
1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;-----------------------------------------------10
**2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება(ზრდა/კლება)**--------------------------------------------------------------12
**3. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება**------------------------------------------------------------------------------12
**4. 2011 წლის ფინანსური აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა**----------------------------------------------------------------13

შესავალი:

**აუდიტორი** ელგუჯა ბეროშვილი.

**აუდიტის ფარგლები:** 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

**აუდიტის მეთოდი** – წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შემოკლებანი:

1.საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის – სამინისტრო;

2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის – მინისტრი;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

4.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;

5. საქართველოს მთავრობა – მთავრობა.

*საქმიანობის მოკლე მიმოხილვა*

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ის ასრულებს მთავრობის დადგენილებით[1] დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა სულ 80 საბიუჯეტო ერთეული მათ შორის სამინისტროს აპარატი, 78 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აქედან 62 მათგანი და დავით გარეჯის ხუროთმოძღვრული მუზეუმ-ნაკრძალი ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 16 - ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

*აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები*

**1.** სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტის ფორმირებისას სრულყოფილად არ განისაზღვრება გეგმური ხარჯებისა და ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს, კვარტლებსა და პროგრამულ ქვეკოდებს შორის ასიგნებების ხშირ გადანაწილებას;

**2.** სამინისტრომ საკუთარი ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხები მოითხოვა და მიიღო პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან;

**3.** საჯარო სამართლის იურიდიულ პირების მიერ დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული საგრანტო სახსრების ნაწილს არა აქვს გავლილი ერთიანი სახაზინო ანგარიში;

**4.** სამინისტროს ასიგნებებიდან შემცირებული ფინანსური ვალდებულების და დარჩენილი რესურსის პირობებში, წარმოქმნილია ახალი ვალდებულებები;

[1] 2004 წელი 27 მაისი N 42

## ძირითადი ტექსტი

### 1. წლიური ბიუჯეტის დამტკიცების მდგომარეობა

### 1.1. საბიუჯეტო განაცხადების წარდგენისა და წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის მდგომარეობა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის წერილით[2] სამინისტროს დასაქმებულთა რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები განისაზღვრა შესაბამისად 391 ერთეულით და 55 000.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი, ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით წარდგენილი იქნა ოთხჯერ, პირველ ორ შემთხვევაში 418 საშტატო ერთეულზე მოთხოვნილია 60 070.0 ათასი ლარის ანუ ზღვრულ მოცულობებზე, შესაბამისად 27 ერთეულითა და 5 070.0 ათასი ლარით მეტი ასიგნებები, მესამე წარდგენა განხორციელდა 61 500.0 ათას, ხოლო მეოთხე (საბოლოო) 81 500.0 ათას ლარზე.

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის[3] თანახმად, სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრა 81 500.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებების[4] საფუძველზე, ასიგნებები გაიზარდა 11 203.0 ათასი ლარით: კერძოდ 6 203.0 ათასი ლარით გაიზარდა ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პროგრამის (კოდი 33 02) ასიგნებები, მათ შორის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან[5] 3 101.5 ათასი ლარით (სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 11 თეატრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის), ასევე 5 000.0 ათასი ლარით გაიზარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფის პროგრამის (კოდი 33 04) დაფინანსება.

საბოლოოდ წლიური ასიგნებების დამტკიცებული გეგმა[6] განისაზღრა 93 027.0 ათასი ლარით, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 92 703.0 ათასი ლარი და გრანტი - 324.9 ათასი ლარი), ხოლო დაზუსტებული 102 127.5 ათასი ლარის ოდენობით.

| *2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი* | *2012 წლის 22 მაისის ცვლილება* | *2012წლის 17დეკემბერი ცვლილება* | *დამტკიცებული გეგმა ცვლილებების გათვალისწინებით* | *მთავრობისდა რეგიონების სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები* | *პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები* | *2012წლის დაზუსტებული გეგმა* |
|---|---|---|---|---|---|---|
| 81 500 000 | 11 203 000 | 324 900 | 93 027 900 | 8 222 000 | 1 131 000 | 102 127 500 |

საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული სამინისტროს პრიორიტეტები საანგარიშო პერიოდში, პროგრამული კოდების მიხედვით:

| | |
|---|---|
| 33 01 | კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროების ერთიანი პოლიტიკის |

[2] 2011 წლის 8 ივლისი N04-02/18186

[3] 2011 წლის 9 დეკემბერი N5509

[4] 2012 წლის 22 მაისი N 6241-Iს საქართველოს კანონი

[5] 2012 წლის 14 თებერვლის N254 საქართველოს მთავრობის განკარგულება

[6] 2012 წლის 17 დეკემბრის N 87- Iს საქართველოს კანონი

| | |
|---|---|
| | შემუშავება, დაგეგმვა და მის განხორციელება |
| 33 02 | ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ |
| 33 03 | სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა |
| 33 04 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა |
| 33 04 01 | მუზეუმების ხელშეწყობა |
| 33 04 02 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა |

საანგარიშო წლის განმავლობაში სამინისტროს პროგრამული დაფინანსებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა (პროგრამულ კოდებს შორის) ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით, შეადგინა 1 358.2 ათასი ლარი, რაც არ აჭარბებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ 5%-ან ზღვარს. ცვლილებების ძირითადი ნაწილი ( 1265.3 ათასი ლარი) განხორციელებულია „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ" პროგრამული კოდიდან (33 02), აქედან კულტურული პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონიდან" (კოდი 33 02 01 40) 521.2 ათასი ლარი. ცვლილების ძირითადი ნაწილი (766.8 ათასი ლარი) განხორციელებულია პროგრამის „კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვის" (კოდი 33 01 აპარატი) სასარგებლოდ, კერძოდ, დაფინანსებულია მსუბუქი ავტომანქანის შეძენა 50.0 ათასი ლარი და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატთა დაჯილდოვება - 205.0 ათასი ლარი. დანარჩენი 511.8 ათასი ლარი მოხმარდა, თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას, შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებას, მივლინების, კომუნალურ, ტრანსპორტისა და ოფისის ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი დამტკიცებული გეგმის მიხედვით აპარატის შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები (1879.1 ათასი ლარი), პროგრამა „ქართული სეზონიდან" (პრიორიტეტული მიმართულება) გადმოტანილი 278.6 ათასი, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და ლაურიატების ქვეპროგრამიდან 26.4 ათასი, ასევე აპარატის სხვადასხვა მუხლიდან გადმოტანილი 181.6 ათასი ლარის ასიგნებებით გაიზარდა 486.6 ათასი ლარით და შეადგინა 2365.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი 2353.8 ათასი ლარი). აღნიშნული მატება მიმართულია აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებაზე.

პროგრამა „ქართული სეზონიდანაა" ასევე გადატანილი აპარატის საქონელი და მომსახურების მუხლში 140.0 ათასი ლარი, რაც შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო და საპრემიო თანხების ანაზღაურებას მოხმარდა. ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 33 03) სასარგებლოდ (304.7 ათასი ლარი) აქედან ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორიას გადაეცა 218.9 ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ბიუჯეტი დაიგეგმა კვარტალურ ჭრილში პრიორიტეტებისა და მიმართულებების გათვალისწინებით, შესრულების პროცესში თავი იჩინა არაერთმა ხარვეზმა, რაც აისახა საბიუჯეტო ასიგნებების ინტენსიურ ცვლილებებში. არასწორი დაგეგმვის შედეგად 2012 წლის პირველ კვარტალში აღმოჩნდა, რომ პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ღონისძიებების

განხორციელება ვერ ხერხდებოდა, შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა კვარტალური განწერის ცვლილება 1 427.7 ათას ლარზე[7]

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ წლიური ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მაქსიმალური სიზუსტით გაითვალოს გეგმიური ხარჯებისა და ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა;

- მოსალოდნელი ცვლილებების დაგეგმვის პროცესში, განახორციელოს ოპტიმალური გათვლა სხვადასხვა პროგრამულ კოდში გათვალისწინებული ხარჯების კორექტირების მიზანშეწონილებაზე.

## 1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების, პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების მიხედვით.

ორგანიზაციის ბალანსის (დანართები N2, 2-1, 2-2) და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ფორმა N E 6-ის თანახმად, სამინისტროს მიერ 102 127.5 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის ფარგლებში, ვალდებულება აღებულია 101 231.5 ათას ლარზე (რესურსი - 896.0 ათასი ლარი). ანუ გეგმის 99.1%-ზე. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა 100 057.2 ათასი ლარი ანუ გეგმის 98% შეადგინა. ფაქტობრივი ხარჯი გაიწია 87 166.8 ათასი ლარის ოდენობით (საკასო ხარჯის-87.1%), რაც საკასო ხარჯთან შედარებით 12 890.4 ათასი ლარით ნაკლებია. წლიურ ნაერთ ბალანსთან დართული ახსნა-განმარტებითი ბარათის თანახმად, სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გამოწვეულია თანხების წინასწარი გადახდებით (ხელშეკრულების თანახმად) და არაფინანსური აქტივების ზრდით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები გაწეულ იქნა შემდეგი ოდენობით:

ათ. ლარი

| საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები | დაზუსტებული გეგმა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | სხვაობა (4-3) | შესრულება% (3/2) | შესრულება% (4/2) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | |
| 1. ხარჯები | 94642.9 | 92715.3 | 87166.8 | -5548.5 | 98.0 | 92.1 |
| შრომის ანაზღაურება | 4180.0 | 4167.9 | 4167.9 | 0 | 99.7 | 99.7 |
| საქონელი და მომსახურება | 27869.8 | 27218.1 | 22216.2 | - 5001.9 | 97.7 | 79.7 |
| სუბსიდიები | 44341.3 | 44253.5 | 44177.8 | -75.7 | 99.8 | 99.6 |
| გრანტები | 213.3 | 213.9 | 213.3 | -0.6 | 100.3 | 100.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 115.8 | 115.0 | 100.8 | -14.2 | 99.3 | 87.0 |
| სხვა ხარჯები | 17922.7 | 16746.9 | 16290.8 | - 456.1 | 93.4 | 90.9 |
| 2. არაფინანსური აქტივები | 7465.9 | 7323.6 | - | - | 98.1 | |

[7] ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N323 30.03.12

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. ფინანსური აქტივები | 18.8 | 18.2 | - | - | 96.8 | - |
| 4. ვალდებულებები სულ: | 102 127.6 | 100 057.1 | 87 166.8 | -12 890.3 | 98.0 | 85.4 |

საქართველოს მთავრობის განკარგულების[8] თანახმად, სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 129 ერთეულით, ხოლო წლიური თანამდებობრივი სარგო 1 566.6 ათასი ლარით. ფაქტობრივად მომუშავეთა რიცხოვნობა საანალიზო პერიოდში საშუალოდ 122 ერთეულს შეადგენდა, გაწეული 2 353.8 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯის 58%) შტატით მომუშავეთათვის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1 485.3 ათას ლარს (63.1%), პრემია - 868.4 ათას ლარს (36.9%). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა საშუალოდ 58.5%, ხოლო დეკემბერში 146%. წლის განმავლობაში მომუშავეთათვის დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 300 ლარიდან 49,700 ლარამდე. პრემიები გაცემულია ყოველთვიურად საშუალოდ აპარატის 67 თანამშრომელზე (55%) და მისი გაცემის საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მოსამსახურეს აქვს უფლება მიიღოს შრომითი გასამრჯელო, მათ შორის პრემია.

აპარატის შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა განსაზღვრული იყო არა უმეტეს 30 ერთეულისა[9] წლის განმავლობაში გაწეულია 321.3 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 91.3 ათას ლარი მიმართულია პრემირებაზე.

სამინისტროში საანალიზო პერიოდში აღინიშნება შესყიდვების გეგმის ხშირი ცვლილება (80). ჩატარებული ტენდერებიდან მიღებულია 54.4 ათასი ლარის ეკონომია, საიდანაც 43.2 ათასი ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში, ხოლო 11.2 ათასი ლარით შესყიდულია იგივე სახის საქონელი/მომსახურება.

წარმოდგენილი ცნობისა და ბალანსის შესაბამისი დანართი ფორმების თანახმად, სამინისტროს დებიტორული დავალიანება გაიზარდა 51.5 ათასი ლარით, საიდანაც მნიშვნელოვანი ზრდა აღენიშნება სამინისტროს აპარატს - 710.8 ათასი ლარი, სსიპ საქართველოს კინომატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს - 563.5 ათასი ლარი და სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს - 249.5 ათასი ლარი. მიზეზად სახელდება წინასწარი გადახდები. კრედიტორულ დავალიანება გაზრდილია 640.9 ათასი ლარით (იხ. ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილების საკითხში).

ნაერთი ბალანსის დანართის მიხედვით სამინისტროს ხანდაზმული დებიტორული დავალიანების სახით არიცხია 218.8 ათასი, ხოლო კრედიტორული დავალიანების სახით -1914.6 ათასი ლარი. დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებაზე არაა შედგენილი ურთიერთშედარების აქტები.

---

[8] 2011 წლის 28 იანვარი N129

[9] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N146 განკარგულება

ბიუჯეტის შესრულება პროგრამულ ჭრილში

ათ. ლარი

| პროგრამული კოდი | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა | წლიური საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან შიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|---|
| 33 01 | 3 721,5 | 4 488,3 | 4 433,7 | 98.8% | |
| 33 02 | 55 870,2 | 56 998,4 | 56 435.5 | 99% | |
| 33 03 | 10 143,5 | 11 449,3 | 11 411,4 | 99.7% | |
| 33 04 | 23 292,7 | 29 191,5 | 27 776,6 | 95.2% | 586.9 |
| 33 04 01 | 8 888,1 | 11 653,8 | 11 550,0 | 99.1% | |
| 33 04 02 | 14 404,6 | 17 537,7 | 16 226,6 | 92.5% | 586.9 |

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის 36-ე მუხლის თანახმად, სამინისტროს პროგრამით „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ" (კოდი 33 02) გათვალისწინებული ასიგნებებიდან 20 000.0 ათასი ლარი უნდა მიემართა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. საკასო ხარჯმა 19 487.9 ათასი ლარი შეადგინა(97.4%).

ძირითადი სახრები მიმართულია შემდეგ ღონისძიებებზე: პროექტ „ძველი უბნის მელოდიების" საორგანიზაციო ხარჯები - 3 662.2 ათასი; ახალციხეში შარლ აზნავურის კონცერტის ორგანიზება - 1 356.0 ათასი; საქართველოს არქიტექტურული ღირშესანიშნაობების შესახებ წიგნის გამოსაცემად საჭირო ხარჯები - 3 720.0 ათასი; სპექტაკლ „ქეთო და კოტეს" საორგანიზაციო ხარჯი - 649.7 ათასი; ხოაკინ კორტესის ფლამენკოს კონცერტის ორგანიზება - 550.0 ათასი; პროექტ „მე მეამაყება საქართველოსთვის" - 698.4 ათასი და საქართველო ოკუპაციის გარეშე - 268.5 ათასი ლარი. ამ უკანასკნელი პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებისა[10] და მასში შეტანილი ცვლილების[11] საფუძველზე ა(ა)იპ საქართველოს დეოკუპაციის ცენრტს წინასწარი გადახდის (ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა) ფორმით გადაერიცხა 350.0 ათასი ლარი, საიდანაც ხაზინის ერთიან ანგარიშზე დაბრუნდა 81.6 ათასი ლარი, დანარჩენ 268.5 ათას ლარზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი[12]. აღნიშნული ტრანზაქციის დოკუმენტაცია შესწავლის მიზნით, სამინისტროს წერილის[13] საფუძველზე, ამოღებული[14] აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო სამსახურს.

მრავალწლიანი კაპიტალური პროექტების განხორციელების მიზნით, საანალიზო წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით განლაგებულ კულტურული

[10] 2012 წლის 17 ივლისი N 649

[11] 2012 წლის 17 აგვისტოს შეთანხმების ოქმი N1

[12] 2012 წლის 31 დეკემბერი N649/1.

[13] 2013 წლის 23 იანვარი N04/11-218

[14] 2013 წლის 28 იანვრის ამოღების ოქმი

მენკვიდრეობის ძეგლებზე ჩატარდა სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბიუჯეტის შესრულება კაპიტალური პროექტების ჭრილში — ათ.ლარი

| პროგრამული კოდი | დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება | [illegible] წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი | [illegible] პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | მომდევნო წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულების |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33 04 02 02 | პროექტი N1 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა | 42895,4 | 6791,9 | 14858.1 | 13668,8 | 22434,7 | 126,2 | |
| 33 04 02 02 01 | ქვეპროექტი N1 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება | 31658,4 | 5318,7 | 3991,8 | 3905,0 | 22434,7 | 126,2 | |
| 33 04 02 02 02 | ქვეპროექტი N2 ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა | 11237 | 1473,2 | 10906,3 | 9763,8 | | | |

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების შესამცირებლად.
- დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებებზე გაფორმდეს ურთიერთშედარების აქტები.

## 1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2012 წლის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 49 05) სათანადო განკარგულებების (5) საფუძველზე, სამინისტროს გამოეყო 1 131.0 ათასი ლარი სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, რაზეც გაიწია 1 107.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი(97.9%). სახსრების მირითადი ნაწილი (714.8 ათასი ლარი) გამოყოფილია კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამისთვის (კოდი 33 02 01 35), რის ფარგლებშიც დაფინანსებულია საქველმოქმედო ფონდი „ხელოვნებით თანადგომისთვის", სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო და ათონის ივერთა მონასტერში შექმნილი ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ფაქსიმილური ვარიანტისა და ალბომის „ქართული ხელნაწერი" წიგნის გამოცემის ხარჯები.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 49 06) შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე (7) სამინისტროს სხვადასხვა მიზნით გამოეყო 2 242.5 ათასი ლარის

სახსრები, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულ იქნა 1 972.8 ათასი ლარის ოდენობით ( 88%). სახსრების ძირითადი ნაწილი გამოყოფილია საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის (1465.0 ათასი ლარი), სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაგეგმილი ქრისტიანული საგანძურის განახლებული ექსპოზიციის გახსნასთან დაკავშირებული, ასევე საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამის „ქართული სეზონი" (კოდი 33 02 01 40) ფარგლებში ქ. სტრასბურგში საშობაო ბაზრობაზე მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (კოდი 49 08) შესაბამისი განკარგულებების (4) სამინისტროს სხვადასხვა მიზნით გამოეყო 5 979.5 ათასი ლარი, რაზეც გაიწია 5 731.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი (95.9%). ასიგნებების ძირითადი ნაწილი (5679.5 ათასი ლარი) გამოიყო მესტიის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცის მომზადების, აღჭურვის და მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის, ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის, ასევე სამხატვრო აკადემიის შენობის რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსებისთვის.

აღსანიშნავია, რომ როდესაც სამინისტროს გააჩნდა საკუთარი ფინანსური რესურსები სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, თანხები მოთხოვნილია პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, კერძოდ: საქართველოს მთავრობის განკარგულებით[15] სამინისტროს პროგრამა „ქართული სეზონის" ღონისძიებების დასაფინანსებლად მიღებული აქვს 485.9 ათასი ლარი (აღნიშნული თანხა აისახა პროგრამულ კოდში (33 02 01 40) საანალიზო წელს კი ამავე პროგრამიდან ასიგნებები ცვლილებების შედეგად შემცირებულია 521.1 ათასი ლარით და გადატანილია სხვადასხვა პროგრამულ კოდში. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით[16] სამინისტროს კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი33020135) ღონისძიებებისთვის გამოეყო 415.4 ათასი ლარის სახსრები, საანგარიშო წელს კი ამავე პროგრამიდან ცვლილებების შედეგად სხვადასხვა პროგრამებზე გადანაწილდა 125,7 ათასი ლარის ასიგნებანი.

**რეკომენდაცია:**

სამინისტრომ პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფაზე მოთხოვნა წარადგინოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

### 1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

აუდიტის შედეგად დადგენილი გარემოებები:

სამინისტროდან წარმოდგენილი ცნობების თანახმად, ორგანიზაციას საანალიზო პერიოდის განმავლობაში სასაქონლო გრანტი ან ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია. რაც შეეხება ფულად გრანტებს, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების[17] შედეგად, სამინისტროს დაუმტკიცდა 324.9 ათასი ლარის გრანტი, საიდანაც 267.7 და 57.2 ათასი ლარი

[15] 2012 წლის 19 ნოემბერი N1942

[16] N 24/10/13 24.10.12 N17/10/07 17.10.12, N02/02/04 02.02.12, N15/08/02 15.08.12.

[17] 2012 წლის 17 დეკემბრის N87-Iს საქართველოს კანონი

შესაბამისად აისახა სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის (კოდი 33 04 01 02) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრირებისა და მართვის (კოდი 33 04 02 01) ასიგნებებში. საკასო ხარჯმა შეადგინა 235.4 ათასი ლარი (72.5%). ამას გარდა წარმოდგენილი ცნობების და ბალანსის დანართი ფორმა NN3. 4-1 თანახმად, სამინისტროს სხვადასხვა სსიპ-ების (პროგრამული კოდი) მიხედვით, სსიპ შ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდიდან მიღებული აქვს 320.0 ათასი ლარის გრანტი, რაზეც ნაშთის გათვალისწინებით გაწეულია 351.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი (109.8%). ამასთან ერთად სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევითი ცენტრის, ევროკავშირიდან მიღებული გრანტი, რომელზეც გაწეულია 40.0 ლარის საკასო ხარჯი, არ ასახულა კულტურის სამინისტროს ასიგნებებში და შესაბამისად არ გაუვლია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში.

ლარი

| პროგრამული კოდი | დასახელება | მიღებული გრანტი | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|
| 33 00 | სამინისტრო | 644 852 | 586 972 |
| 33 02 01 57 | სსიპ „ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი" | 21 675 | 21 675 |
| 33 04 01 09 | სსიპ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი | 39 955 | 63 132 |
| 33 04 01 02 | სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი | 516 061 | 426 593 |
| 33 04 01 08 | სსიპ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი | 25 000 | 14 061 |
| 33 04 02 01 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 42 161 | 61 511 |

ბალანსის დანართი ფორმა N4-ის თანახმად, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის სამინისტროს ერიცხებოდა 1734.2 ათასი ლარის ნაშთი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 14 229.6 ათასი და დარიცხულია 14 227.5 ათასი ლარის ხარჯი. წლის ბოლოს ირიცხება 1439.8 ათასი ლარის ნაშთი. იგივე და ბალანსის დანართი (ფორმაN2) მიხედვით, სამინისტროში შემავალ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ ფუნქციონირება მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით.

რეკომენდაცია:

- სამინისტრომ უზრუნველყოს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების აღრიცხვიანობა.

## 2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებები (ზრდა/კლება)

სამინისტროს ნაერთი ბალანსის დანართი ფორმა N2-1 თანახმად, ორგანიზაციის არაფინანსური აქტივები გაიზარდა 7 323.6 ათასი ლარით, მათ შორის შეძენილია სამი ახალი მსუბუქი ავტომანქანა „ჰიუნდაი სონატა" თითოეული 46.8 ათასი ლარის ღირ-ბით, ბალანსზე რიცხული, აუდიტის მიერ 66.1 ათას ლარად შეფასებული ავტომანქანა ჯიპი „ტოიოტა ლენდკრუიზერი"1 200, ხელშეკრულების (N224 15.03.12) საფუძველზე შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფან-ში გადაიცვალა იგივე მარკის გაუმჯობესებულ პარამეტრების მქონე ავტომობილში ფასთა სხვაობის (62.3 ათასი ლარი) დამატებით, საიდანაც 50.0 ათასი ლარი აპარატის კოდში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზნობრივადაა გადმოტანილი სხვა პროგრამული კოდიდან.

ფინანსური აქტივები (ბალანსის დანართი ფორმაN2-2) არ გაზრდილა.

რაც შეეხება ფინანსური ვალდებულებებს (ბალანსის დანართი ფორმა N2-2-ის მიხედვით), ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, საკუთარი საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი 18.8 ათასი დაზუსტებული გეგმის ფარგლებში შეცირებულია 18.2 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანებები, კერძოდ ხელოვნების განვითარების და სხვა ღონისძიებების პროგრამული კოდიდან 18.2 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის ფარგლებში 17.7 ათასი და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრირებისა და მართვის კოდიდან 0.6 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის ფარგლებში, 0.5 ათასი ლარის დავალიანებები. თუმცა, საანგარიშო წლის განმავლობაში სამინისტროს გამოყოფილი ასიგნებებიდან დარჩენილი რესურსის (896.0 ათასი ლარი) პირობებში კრედიტორული დავალიანება გაეზარდა 640.9 ათასი ლარით (რომლის ნაწილიც სიტყვიერი განმარტების თანახმად, უკავშირდება წლის ბოლოს დარიცხულ კომუნალურ ხარჯებს), ძირითადი ზრდა აღინიშნა სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს (470.7 ათასი ლარი) სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა (135.5 ათასი ლარი) და სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრს (137.8 ათასი ლარი). დარღვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის[18] 22-ე მუხლის მოთხოვნა რომლის მიხედვითაც წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების დაფარვა დასაშვებია ახლის არ წარმოქმნის პირობებში.

## 3. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება.

სამინისტროს 2012 წლის კონსოლიდირებული ბალანსი შედგენილია ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით[19] დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციისა და „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა მიხედვით.

---

[18] 2012 წლის 17 დეკემბრის N87-IIს საქართველოს კანონი

[19] 2007 წლის 28 დეკემბერი N1321და 2008 წლის 16 აპრილი N364

**4. 2011 წლის ფინანსური აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილ სამინისტროს 2011 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში, აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები საანგარიშო პერიოდისთვის გამოსწორებულია ნაწილობრივ, კერძოდ:

არ არის მოგვარებული სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი შენობის (ბეთლემის ქუჩა N26/7) ნარჩენი ღირებულება 227,0 ათასი ლარი, რეგისტრაციის საკითხი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბალანსში, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის გამო, არ არის ასახული 11 703.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები.

**აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.